



სოხის მოახლე

№11 (7151)
14 ოქტომბერი, პარაკვიზი.
2022 წელი.
გაზეთი გამოდის 1932 წლის 12 ივლისიდან
ზასი 0.70 ლარი.

სოხის მუნიციპალიტეტის გაჭვითი ორგანო

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ლარიბაშვილის განცხადებით, საქართველოში ყველა კაბეგორიის პენსიონერისთვის პენსია იზრდება

იანვრიდან ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების დაფინანსება იზრდება 770 მილიონი ლარით, ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ლარიბაშვილმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა.
როგორც ირაკლი ლარიბაშვილმა აღნიშნა, 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერთა პენსია გახდება მაღალმთიან დასახლებებში

440 ლარამდე, სხვაგან 365 ლარი.
„70 წლამდე პირთა პენსია გახდება თითქმის 300 ლარი, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში 70 წლამდე პირთა პენსია გახდება 355 ლარი.
ასევე გარდა პენსიისა, გათვალისწინებული გვაქვს მკვეთრად გამოხატული შუამდობითი სოციალური გასაცემების ზრდა 65 ლარით, ასევე დანარჩენი კა-

ტეგორიის შუამდობითი გასაცემელიც გაიზრდება. მინდა შეგახსენოთ, რომ ჩვენ ბავშვთა დახმარება თითქმის გაუასამბაგეთ უკვე. იყო 50 ლარი და ახლა არის 150 ლარი. ესეც გაგრძელდება. ჩვენი სურვილია, იმისდა მიხედვით, როგორი ბიუჯეტი გვექნება 2023 წელს და როგორი შემოსავლები, რომ ეს კიდევ გაგზარდოს“, – განაცხადა ირაკლი ლარიბაშვილმა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

13 ოქტომბერს, სოხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე.
სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი პირები.
დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, საკრებულოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ სოლიდარობა გა-

56,7 ათასი ლარი, პრიორიტეტის „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება“, ხოლო 506,0 ათასი ლარი, პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ ასიგნებაზე.
განკარგულების პროექტით; „სსიპ სოხის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს №1 საჯარო სკოლისთვის სსიპ სოხის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს



მოუცხადა უკრაინულ ხალხს.
სხდომაზე განხილულია დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, მათ შორის:
დადგენილების პროექტი „სოხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სოხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც სოხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2022 წლის შემოსულობები გაიზარდა 158.6 ათასი ლარით. „გრანტებიდან“ (მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად) და შეადგინა 21498,3 ათასი ლარი, გადასახდელები გაიზარდა 721.3 ათასი ლარით და შეადგინა 25299,9 ათასი ლარი.
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან 562,7 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი) მიიმართა შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად:

საჯარო სკოლის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე“.
საჯიჯაოს №1 საჯარო სკოლას მიენიჭა სსიპ სოხის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს საჯარო სკოლის სახელი.
სხდომაზე ასევე განხილულია განკარგულების პროექტი: „სოხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“, რომლის თანახმადაც შაველეს ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ამბულატორია ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გადაეცა სახელმწიფოს, შემდგომში ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო პოლინიკისთვის“ გადაცემის მიზნით.
დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ჩვენს მუნიციპალიტეტში



დღეებმა დატბორა, საცხოვრებელი სახლების ნაწილი, ეზოები და სავარგულები.
სტიქიამ ყველაზე დიდი პრობლემა შექმნა სოხის მუნიციპალიტეტში, სადაც საერთო ჯამში 150-ზე მეტი სახლის პირველი სართული დატბორა.
პრობლემურ ადგილებში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი გუგუჩია მოადგილეებთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდა.
მიმდინარეობს სალიკვიდაციო სამუშაოები, მუშაობენ ზარალის დამოვლელი კომისიები.

ძლიერმა წვიმამ და წყალმოვარდნებმა პრობლემები შექმნა სამეგრელოს მუნიციპალიტეტებში, აღიდებულმა მდინარეებმა და

ოქტომბერი ძუძუს კიბოსთან
პრძოლის საერთაშორისო თვეა
ჩაერთე სკრინინგში
დროულად აღმოაჩინე პრობლემა

სკოლა განსაკუთრებული სიახლით...

სკოლაში, რომლის ისტორია საუკუნეზე მეტ ხანს ითვლის, 15 სექტემბერს დაირეკა სწავლის განახლების მაუწყებელი ზარი.

ნოჯიხევის №1 საჯარო სკოლა მცირეკონტიგენტია, აქ მოსწავლეები მხოლოდ საბაზო საფეხურის დონეზე ეუფლებიან ცოდნას.

ახალ სასწავლო წელს 50 მოსწავლიდან 9 წარჩინებული მოსწავლით შევხვდით. მათ აღზრდა-განათლებას ემსახურება 14 ღირსეული, საქმის ერთგული, პროფესიონალი პედაგოგი. წლებია დანერგილია ინკლუზიური განათლება. სკოლას ჰყავს სპეცმასწავლებელი, -სოციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, აქვს კეთილმოწყობილი რესურს-ოთახი, ადაპტირებული გარემო, სუფევს კეთილგანწყობილი დამოკიდებულებები, როგორც კოლე-

საბამისი საპირფარეო, სკოლის მთელ პერიმეტრზე მოეწყო სარინელი...

მიმდინარე წელს სკოლა განსაკუთრებული სიახლით ხვდება.

მიმდინარეობს სპორტული დარბაზის სრული რეაბილიტაცია. ინფრასტრუქტურულ პროექტს, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს.

პროექტი ითვალისწინებს დარბაზის სრულ, ასევე გასახდელის, სპორტული ინვენტარის, ოთახისა და კორიდორის რეაბილიტაციას. გათვალისწინებულია ოთახების აღჭურვა ავეჯით. დამონტაჟდება კალათბურთის ფარები. ფრენბურთის ბადე, ელექტროგაყვანილობა, ჩოგბურთის მაგიდა...

სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული ი/მ სოსო



გებს შორის, ისე მოსწავლემასწავლებლებს შორის, სკოლა ფეხდაფეხ მისდევს ყველა სიახლეს, რომელიც განათლების სფეროში ინერგება, ასევე ღირსეულად ხვდება ამ სფეროში არსებულ ყველა გამოწვევას, რაშიც ლომის წილი სკოლის დირექტორს, ქალბატონ ინგა ხვინიას მიუძღვის.

წელს, სკოლის პირველი ზარი, 8 პირველკლასელების დაირეკა, მათ საზეიმო ვითარებაში გადაეცათ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოგზავნილი საჩუქრები: ბუკები და სახელმძღვანელოები, აუღერდა სახელმწიფო ჰიმნი და აღიმართა ეროვნული დროშა.

სკოლის არსებული შენობა 1978 წელს შევიდა ექსპლოატაციაში და მას შემდეგ მირფესვიანად არ გარემონტებულა, თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში მოხდა სახურავისა და ფანჯრების შეცვლა მთლიანად, აშენდა სტანდარტების შე-

გოგია აწარმოებს. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 82906 ლარს შეადგენს.

სარემონტო სამუშაოების დასრულება ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ვერ მოესწრო და დღემდე მუდმივი მონიტორინგის ქვეშ მიმდინარეობს, რათა სასწავლო პროცესს ხელი არ შეეშალოს.

სკოლის მოსწავლეები, მათი მშობლები, ადმინისტრაცია, პედაგოგები უდიდეს მადლიერებას გამოთქვამენ ადგი-



„ეუდი მოიხადე, ბატონო ჩემო, მასწავლებელი მოდის“

არის დღეები, რომლებიც ნებისმიერ დროსა და ვითარებაში ინარჩუნებენ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას. ასეთია ახალი სასწავლო წლის დაწყების დღეც. იგი ერთნაირად აფორიაქებს ნებისმიერი ასაკისა და პროფესიის ადამიანს, ზოგი შვილს ულოცავს ცოდნის მწვერვალებისკენ მიმავალ გზას, ზოგი შვილიშვილს. ზოგს ლამაზი წარსული-უდარდელი ბავშვობის ხანა ახსენდება, თუმცა ეს დღე ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი მაინც პედაგოგებისთვის, იმ ადამიანებისთვისაა, რომლებიც გასაოცარი ნებისყოფით, დიდი სიყვარულითა და რუღუნებით ემსახურებიან მომავალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

ლალი შონია, ფილოლოგი, ალიო მირცხულა-

ყო. იმ სკოლაში, სადაც 15 წელი დირექტორად ვიმუშავე. სიამოვნებით ვიხსენებ იმ წლებს, როდესაც ერთად შევეჭიდეთ ამ დიდ საპასუხის -

მ გ ე ბ ლ ო საქმეს და არც ისე წარუშაბტებლად... ის ერთ-ერთი გამორჩეული მასწავლებელი გახლავით, იმ



პატარავის უმუშევარი მეგობარი



მასწავლებლებს შორის, რომლებიც ერთ გუნდად შეკრულები პირნათლად, უმწიკვლოდ ვემსახურებოდით მომავალი თაობის აღზრდას. მიხარია, რომ დღეს ის უფროსი მასწავლებლის წოდებით დააბიჯებს ალიო მირცხულაყვას სახელობის პირველი ხორგის დაწყებით კლასში და წარმატებას წარმატებაზე აღწევს. იგი არა მარტო მოსწავლეების, არამედ მათი მშობლების სათაყვანო პიროვნებაა. „განათლება პირამიდას ჰგავს, სადაც მასწავლებელი, მოსწავლე და მშობელი თანაბარ სიმაყვეს ინარჩუნებენ!“

ვას სახელობის პირველი ხორგის დაწყებით კლასის მშობლები უფროსი (უფროსი) მასწავლებელია.

„ვისი დახასიათებაც გინდა, ჯერ უნდა იმას კარგად იცნობდე, მისი გარემოება ავი და კარგი შეგნებული გქონდეს, რომ განაჩენი სამართლიანი გამოდგესო“ -წერდა ვაჟა-ფშაველა.

ღიას, ვისი დახასიათებაც მინდა, მასზე თამამად შემიძლია ვთქვა-ნიჭიერი, განათლებული, ენერგიული, ფუტკარივით მოფუსფუსე ადამიანია, რომელიც ყველა გამოწვევისთვის მზად არის.

ლალამ პირველი პედაგოგიური საქმიანობა ყორათის არასრულ საშუალო სკოლაში დაიწ-

არ არის, მთავარია პირადი ადამიანური ღირებულებებით აღზარდო და ასწავლო მოსწავლეს საგანიც და ცხოვრებაც, ამ მხრივ ალიო გამორჩეული და განსაკუთრებულია. იგი მუდმივად ზრუნავს თვითგანვითარებაზე, როგორც პროფესიონალი, თავისი პატარავის უმუშევარი მეგობარია.

მეამაყება და მიხარია ყველა მისი წარმატება. მადლობელი ვარ იმ ლამაზი ურთიერთობისთვის, რაც დღემდე სიამოვნებას მგვრის...

მინდა დიდხანს იღვაწო, იცოცხლო. ღმერთმა დაგლოცოს, გაგახაროს. იმედი მაქვს კიდევ ბევრ სახელოვან შვილს აღუზრდი შენს სათაყვანებელ ქვეყანას.

ნაირა ბერაია

ლობრივი ხელმძღვანელების მიმართ, მათი მრავალწლიანი ოცნების რეალობად ქცევისთვის. მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა ხომ სწავლა-სწავლების მოტივაციისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს.

თამარ ბერაია, კელაგოზი.

5 ოქტომბერს, ხობის კულტურის სახლის დიდ საკონცერტო დარბაზში მასწავლებლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა. მსმენელის წინაშე დავით არჩვაძე და კვარტეტი „ჰანგები“ ქართველი კომპოზიტორების მიერ შექმნილი სიმღერებით წარდგა.

კონცერტზე დავით არჩვაძის სიმღერის პრემიერა შედგა, რომლის მუსიკის ავტორიც თვითონ მომღერალა.



კონცერტს მასწავლებლებთან ერთად, ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია, მერის პირველი მოადგილე რევაზ ზაქარაია და მერის მოადგილე დავით ბერაია ესწრებოდნენ. მასწავლებლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის“ ორგანიზებით გაიმართა.



დაიწყება ამ წლის ბოლოდან. მოხერხება ქუჩები, კონკრეტული ქუჩების გარეგანათება მოეწყო, მოწესრიგდა ცენტრალური ტერიტორიები, დაემატა ნაგვის ურნები, ასევე ეტაპობრივად მიმდინარეობს სამუშაოები, სანიაღვრე და ინფრასტრუქტურული მიმართულებით, რაც მოიცავს სამივე სოფელს.

არის საკითხები, რომლებიც ჯერ კიდევ გასაკეთებელია და ჩვენ ყველანაირ ძალას და რესურსს გამოვიყენებთ იმისათვის, რაც შეიძლება მალე მოგვარდეს ყველა დაპირება.

რა პრობლემები დგას სადღესასწაულებში, როგორ ართმევთ თავს სადღესასწაულებში საქმიან-

მორგებული. მიუხედავად იმისა, რომ არ არის მასშტაბური ბიუჯეტი, მის განხორციელებაში მაქსიმალურად გათვალისწინებულია სოფლის მოსახლეობის აზრი და ინტერესები.

როგორი მედიატორი ხართ მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და სოფლების მცხოვრებლებს შორის. ისაუბრეთ თქვენს როლზე, ხალხთან ურთიერთობაზე?

—ამასთან დაკავშირებით ბევრს ვერ ვისაუბრებ. ვფიქრობ, ეს ნაწილი ჩემმა თანასოფლელებმა უნდა შეაფასონ. რაც დანამდვილებით შემძლია გითხრათ, არის ის, რომ ვცდილობ მაქსიმალურად გავიგო თითოეული თანასოფელის პრობლემა და მივიტანო იქ, სა-

ჩვენს მუნიციპალიტეტში



სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ სობის მუნიციპალიტეტის 16 სოფელში გარე განათების მოწყობა მიმდინარეობს.

პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები ხორციელდება: ქვემო ქვალონში (ბულიში, გომოზგონჯილი).

ახალსოფელში (გალმა პირველი ხორგა).

ხეთაში (ლარჩვა, ნოჩხონი, წინაგოლა).

ახალ ხიბულაში (ახალი ხიბულა, გაშფერდი).

პატარა ფოთში

საჯიჯაოში (ზუბი)

გურიფულში (მეორე გურიფული)

ნოჯიხევიში (ხენი).

ქარიატაში (გალმა ქარიატა, გამოლმა ქარიატა).

შუა ხორგაში (გამოლმა შუა ხორგა) ჭალადილში (საბაუო).

პროექტის ჯამური სახელმძღვანელო ღირებულება 228 000 ლარამდეა.

2022 წელს სობის მუნიციპალიტეტის სოფლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ 53 პროექტი განხორციელდება.

ადგილობრივმა მოსახლეობამ ინფრასტრუქტურული პროექტები „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამართულ დასახლებების კრებებსა და კონსულტაციებზე შეარჩია.

„იპედია, ყველაფერი გამოგვივა“

ბექა ხარბელია-სობის მუნიციპალიტეტის ზემო, შუა და ქვემო ქვალონის მასშობრივი ფიზიკური სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

მოგესალმებით. უპირველესად გთხოვთ გეთხროთ, ვინ არის ბექა ხარბელია?

—მოგესალმებით, მივესალმები თქვენი გაზეთის მკითხველს, მაღლობას გიხდით ყურადღებისთვის და ჩემი საქმიანობით დაინტერესებისთვის.

რაც შეეხება ვინ არის ბექა ხარბელია, პირველ რიგში ვარ ოჯახზე და ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული მოქალაქე. დავიბადე და გავიზარდე სობის რაიონში, სოფელ ქვემო ქვალონში, რომელიც ჩემი აზრით, საკმაოდ საინტერესო სოფელია.

რაც შეეხება ოჯახს, მყავს დედა, მამა, ძმა, მამიდა, ბებია და ბაბუა, ერთი სიტყვით დიდი, შრომისმოყვარე და გემრიელი ოჯახი მაქვს.

დავამთავრე ქვემო ქვალონის ნომერ პირველი საჯარო სკოლა და რაც შეეხება უნივერსიტეტს, თბილისში „გეომედში“, ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი. შემდეგ, 4 წლის მანძილზე—2014-2018 წლებში გმუშაობდი პეის ჯგუფში. საწყობის უფროსის თანამდებობაზე. 2018 -2021 წლებში ჩემს ძმასთან ერთად ვმართავდი ოჯახურ ბიზნესს.

ძალზე ახალგაზრდა ბრძანდებით, როგორ გრძნობთ თავს დეპუტატის ამქალაქში. დეპუტატობა ძალზე საპასუხისმგებლო საქმეა, ასევე დიდი დავალება და ვალდებულება. როგორ გადაწყვიტეთ ამ რანგში გელაწათ, მით უფრო, თქვენ სამ სოფელში გიწვეთ ამ მისიის შესრულება?

—ღიახ, ახალგაზრდა ვარ, თუმცა გააზრებული მაქვს, რომ პასუხისმგებლობა ძალიან დიდია, მით უმეტეს, როცა ამ ყველაფრის კეთება გიწვევს სამ სოფელში, რომლის მოსახლეობა არც თუ ისე მცირეა, მათ სჭირდებათ ინდივიდუალური მიდგომა და კომუნიკაცია. მიმანია, რომ მე ვარ ჩემი თანასოფლელების ხმა და ვცდილობ ეს ხმა ღირსეულად გავიტანო მუნიციპალიტეტში.

არჩევნებიდან საკმაოდ დრო გავიდა, თქვენი ამომრჩევლებისთვის მიცემული დაპირებებიდან თქვენი ინიციატივით რისი გაკეთება შეძელით?

—შუა ქვალონის მოსახლეობისთვის წინასწარჩვენო დაპირება იყო, რომ შუა ქვალონი იქნებოდა ცალკე სოფლად დარეგისტრირებული, რაც არჩევნებიდან სამ-ოთხ თვეში შესრულდა. ასევე იყო გაზიფიცირების საკითხი, სამუშაოები

ნობას. გიძნელობათ?

—ძირითადად ჩვენს სოფლებში ვხვდებით ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, მათ შორისაა გაზიფიცირება, როგორც ზემოთ აღვნიშნე, წლის ბოლოს დაიწყება სამუშაოები



და სამივე სოფელი გაზიფიცირდება 2024 წლის ბოლომდე.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს, ქვემო ქვალონში წარმომადგენელი ცოტნე დადიანი, ჩემი კლასელი და ბავშვობის მეგობარია, განათლებული და უწყისიერის პიროვნება. შრომისა და სოფლის მოყვარული, პასუხისმგებლობის მქონე, რომელთანაც ძალიან მაღვინდება კომუნიკაცია და მუშაობა, რადგან ჩვენ ვართ ერთი იდეის ირგვლივ შეკრებილი ადამიანები.

შუა ქვალონის წარმომადგენელი—ბაკურ ალანია ასევე უწყისიერის და შრომისმოყვარე პიროვნებაა, რომელიც შემართებით უძღვება შუა ქვალონს, როგორც უკვე დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულს.

ლევან ალანია, ზემო ქვალონის წარმომადგენელი არის ღირსეული პიროვნება, რომელიც ასევე დიდი პასუხისმგებლობით და ენთუზიაზმით ეკიდება მასზე დაკისრებულ საქმეს. ის არის სამაგალითო ადამიანი, ძალიან უყვართ თანასოფლელებს, რაც იგრძნობა მათ ერთსულლოვან საქმიანობაში. ჩვენ ერთი გუნდი ვართ!

რა წილს იღებთ ამ სოფლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების საქმეში?

—მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან კარგი პროექტია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, სოფლის საჭიროებებზე

დაც მას აუცილებლად მოაგვარებენ.

ბატონო ბექა, თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს იდეალური დეპუტატი, პოლიტიკოსი?

—პირველ რიგში პატრიოტი, როგორც სამშობლოზე. ასევე საკუთარ სოფელზე უსაზღვროდ შეყვარებული. შრომისმოყვარე, თავდაბალი და ხალხის მეგობარი. ეს არის თვისებები, რომელიც ჩემი აზრით, უნდა ჰქონდეს, როგორც დეპუტატს, ასევე კარგ პოლიტიკოსს.

ვინ არის ის ადამიანი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა თქვენზე?

—ასეთი ადამიანი უახლესი ისტორიიდან არის ზვიად გამსახურდია, ეს პიროვნება არის ჩემთვის მაგალითი პატრიოტიზმის, ქვეყნისთვის თავგანწირვის, სიმართლისთვის მებრძოლი და ასევე ტრადიციებისა და ქართული ფასეულობების დამცველი.

როგორ იწყება თქვენი ყოველი საქმიანი დღე?

—ენერგიულად, შემართებით და იმედით, რომ ყველაფერი გამოგვივა.

ამბობენ, ცოდნა და გამოცდილება მთავარი ინსტრუმენტიაო. თქვენთვის რა არის მთავარი?

—მეც არ ვიქნები გამონაკლისი, ვაღიარებ, რომ ორივე ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ჩემთვის ამავე დროს მთავარია ის თვისებები, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალე.

იქნებ კიდევ რამეზე გინდათ საუბარი?

კიდევ ერთხელ მაღლობას გიხდით. სიმშვიდეს გისურვებთ თქვენ. სრულიად საქართველოს კი უფლის წყალობას. **მაღლობა ინტერვიუსთვის, გისურვებთ წარმატებას თქვენს საქმიანობაში და პირად ბედნიერებას. ესაუბრა ნანი კილასონია.**



გვასხოვდეს აფხაზეთი

უკვე ორი წელია თითქმის, არ შეგვხვდ-
რივართ ერთმანეთს, სიზმრებში თუ გაი-
ელვებ ხოლმე და ეს არის და ეს. იშვია-
თად-ტელევიზორში მოგვრავ თვალს, კი-
დევე-საფოსტო ბარათებზე, ხანაც-საოჯახო
ალბომებში. როგორ ხარ, როგორ ცხოვრობ,



წყალდიდობის შემდეგ გზას დალატობდა
ხოლმე, ხან სამხედრო სანატორიუმისაკენ
ჩაუხვევდა და იქ უერთდებოდა ზღვას, ხანაც
პორტისკენ გაიწვევდა. ამ წყალდიდობის მე-
რე როგორაა მისი საქმე, ისევე თუ შეიცვალა
ზღვისთან შეხვედრის ადგილი? არსებობს კი-
დევე მისი პატარა ნავსადგური, ბესლეთის
ნავსადგური, მოტორიანი ნავებისთვის? გა-
დიან კი ნაგები ზღვაში თევზის საჭერად?
პორტს თუ ადგება ძველებურად გემები?
სიცილ-კისკისი თუ ისმის შენი
პლაჟებიდან, რესტორნებიდან, ყა-
ვახანებიდან?..
მამისეული სახლი რა დღეშია, ან ჩემი?
ვინ ცხოვრობს ჩვენს ოთახებში, ვინ ანთებს
ჩვენს ბუხარს, ვინ ისვენებს ჩვენს ტახტზე,
ვინ აწკრილებს ჩვენს ჯამ-ჭურჭელს?..
ჩვენი სასაფლაო რა დღეშია? თუმცა რას
გეკითხები თითქმის ვხედავ კიდე ეკალ-
ბარდმძაღლებულ სამარეებს ბალახით დაფა-
რულ ბილიკებს.
რამდენ კაცზე მინდა გეკითხო, ცოცხალია
თუ არა. ზოგის სახელიც არ ვიცი, სახე კი

ჩამცა თითო მახვილი, ახლა შენ მანც უნდა
შემომჩე ბიბლიურ სიწმინდედ, არ გამიმე-
ტო მე, მრავალგზის ნაღალატევი, თორემ რა
ფასი ექნება მერე ცხოვრებას, ან რა იქნება
დანარჩენი ქვეყნიერება?
თუკი ოდესმე მშობლიური სახლის კარი
შევაღე, იმ წელს, თვეს და დღეს ჩემს პას-
პორტში დაბადების თარიღს მივეუწერ.
გბრუნდები, უსასრულოდ გბრუნდები შენ-
კენ, მაგრამ არც ერთ გზას არ მივყავარ ში-
ნისკენ, უსიერში, არ ჩანს მშობლიური სახლი.
შარშან, ზამთარში, ერთი ხანში შესული
სოხუმელი შემხვდა. მითხრა: სოხუმის
დატბორვის შემდეგ არ მეძინა, მთელი ღა-
მეები ვეწამებოდი. ბოლოს ასეთ რამეს მი-
ვაკვლიე-სოხუმში დავიწვე დაბრუნება, ძილის
წინ სულ სოხუმში დავხეტიალობ და მერე
ტკბილად მეძინება. აი, წუხელ ფრუნხეს ქუ-
ჩაზე ვიყავი, ზღვისკენ მოვეყვებოდი გზას,
ჯერ მალაზია „ბავშვთა სამყაროს“, მერე
სამხატვრო სალონს, შედეგ პარკისკენ გა-
დავჭერი ქუჩა, სტამბას ჩაეუარე და მალე
„ინტურისტის“ წინ, „ტელევიზორში“ აღ-

„აქ ეგდებიან
გულს“



29 წელიწადი გავიდა იმ ავბედითი
დღიდან, რომელსაც სოხუმის დაცემა
ჰქვია და უდიდესი ტკივილი ახლავს
თან...

როგორი სევდიანია სიტყვა 27 სექ-
ტემბერი. უსაშველო ტკივილთან, ცრემ-
ლთან, გოდებასთან, იმ უცნაურ გან-
ცდასთან გაივიწყებული, რითაც გა-
გიხარია, გიცხოვრია, რაც და ვინც
გიყვარდა და შენთვის ღირებული იყო,
სხვამ, მოძალადემ და დამპყრობელმა,
ძალადობრივად დაისაკუთრა...

ძნელია (როგორც დევნილები გეტ-
ყვიან) შენს საკუთარ მიწა-წყალზე დევ-
ნილობაში ცხოვრება...

სობის კულტურის ცენტრთან არ-
სებული ფოლკლორული ანსამბლი
„კოლხეთი“, უამრავი სიამოვნების მომ-
ნიჭებელია მრავალრიცხოვანი მსმენე-
ლისთვის. კიდეც ერთხელ ქედს ვიხრი
თითოეული წევრის წინაშე მათი მა-
ღალი პროფესიონალიზმის გამო.

დღეს მინდა გაგაცნოთ აფხაზეთი-
დან დევნილი ანსამბლ „კოლხეთის“ წევ-
რი გენადი მორგოშია, რომელსაც 3
ქონდა ბედნიერება ემღერა აფხაზეთის
სახელმწიფო ანსამბლში... სიყვარულით
ისწავნებს ვეზდენ ოკუპაციას, ჯუმბერ
ყოლბაიას, გურამ ყურაშვილთან სასი-
ამოვნო ურთიერთობებს.

ბატონი გენადი, ზაქარია ფალიაშვი-
ლის სახელობის კონსერვატორიის მე-
5 კურსის სტუდენტი, ნოდარ ანდლუ-
ლაძის გამორჩეული სტუდენტი ყოფილა.
ოჩამჩირის სოფელ კინდლში
დაბადებული და გაზრდილი, თვალცრემ-
ლმომადლებული ივონებს ბავშვობის და
ახალგაზრდობის წლებს, შემდეგ იყო
აფხაზეთის ომში მებრძოლის სტატუსი,
კოდორის ხეობით ახლობლების გა-
მოცილება და... ცოლ-შვილი (მეუღლე
და სამი შვილი) თბილისში ცხოვრობენ.

თვითონ მძასთან ერთად ჩვენი მუნი-
ციპალიტეტის სოფელ ყორათში
დროებით დამკვიდრებულა...
-ერთი პერიოდი, მამის გარდაცვა-
ლებამდე „კოლხეთში“ ვმღეროდი, შემ-
დეგ ისევ თბილისში ვცადე ბედი, ახლა
ძმის ავადობის გამო, კვლავ ჩემს მე-
გობრებს მოვაშურე. გამოდის, რომ „აქ
ემღერება გულს“...-მეუბნება ტკივილ-
შეუმჩნეველად...

ჩვენც ჭრილობას არ გუხსნით,
აფხაზეთში დაბრუნების და იქ ჩვენი
სტუმრობის სურვილით ვემშვიდობებით.
ჯანმრთელ და ხანგრძლივ სიცოცხლეს
გუსურებთ...

მერი ლავგილავა

გაგარჯობა. სოხუმო!

რა გიჭირს, რა გიღვინს? ვის არ ვეკითხები
შენს ამბავს-ადამიანებს, გაზეთებს, რადიოს...
მომისაკლისებ თუ არა ხოლმე? თუ უკვე ისე
რა. ან სულაც აღარ გახსოვარ?!

შენ ჩემთვის მარტო მშობლიური ქალაქი
როდი ხარ, ან მამისა და შვილის საფლავი,
ან წინაპართა ძვალთშესალვაგი, ანდა წარსუ-
ლი. სამივე ყამი ბრუნავს შენში და სამი
დროიდან მესაუბრები დღენიდან, ჩემო ერ-
თადერთო ქალაქო, ერთდროულად-ტკივილო
და აღმაფრენავ, შენ მშობელი ხარ ჩემი, შეყვარ-
ებული, ძმა, და, შვილი, მოკეთე, ნაცნობი,
უცნობი... მეგობარი ხარ, ორი წლის უნახავი.

როდესაც ძალზე მომენატრები, ფიქრებში
გესაუბრები ხოლმე და განა გაივებს ვინმე
ამქვეყნად, თუ ვინ ხარ შენ ჩემთვის? ამის
ასხნა ხომ სიტყვებით შეუძლებელია!

არაფერი მაქვს დასამალავი, არც მოსარი-
ღებელი, დე ვიყო სენტამენტალურიც-მე შენ
მიყვარხარ!

ვხედავდი, როგორ გამხსრვებდა ომი, რო-
გორ ნაწილ-ნაწილ გაკედინებდა, გმარცხავ-
და, გწავადა, გაწამებდა, მაგრამ ვერაფერი
მოვიმოქმედე მის შესაჩერებლად. ვეღარ გიმ-
ველე, სოხუმო! მაპატიე უსუსურობა!

შემინდე!

განა როდესმე წარმოვიდგენდი ომს შენს
ღიად დღესასწაულში? სისხლს შენს ქუ-
ჩებში? ცხედრებს შენს ზღვაში? გადაბუჯულ
შენობებს, გადამწვარ ხეებს, ყვავილებს?
ცეცხლწაკიდებულ ცას? ვერასოდეს, ვერა-
სოდეს, ვეღარასოდეს!

დარჩა კი ვინმე შენთან ისეთი, ვინც მიგო-
ნებს?

ტელევიზორში უჩვენებინხართ, წყალს და-
უტბორავს ამას წინათ შენი ქუჩები. გადარე-
ულა წყალდიდობა. ო, როგორ მეტკინა გუ-
ლი, რომ იცოდე. ნურასოდეს დაგაკლდება
შენ არც ერთი აგური, არც ერთი ბუჩქი, არც
ერთი ფოთოლიც. შენ ხომ კარგად იცი, რო-
გორ მიყვარხარ. რომც არასოდეს დაგიბრუნ-
დე, ავი დღეებისთვის არ მეშეშები.

წითელი ხიდიდან მომავალი, აფთიაქთან
მადლა რომ აუხვევ, კიროვის ქუჩისკენ,
სოხუმის მთაზე ერთი ლამაზი ეზოიანი სახლი
გამოჩნდება. მის აივანს სვიარა მცენარე ფა-
რავს სანახევროდ. რა მცენარეა, არ ვიცი.
იასამნისფრად ჰყვავის იგი, თუ არ ვცდები,
წელიწადში ორჯერ; აყვავილებდა და იასამ-
ნისფერში იმალება უმაღ სახლი, ჯადოსნურ
სასახლედ იქცევა მამინვე, სოხუმელებმა კარ-
გად იციან ის აივანი. თუ ხარობს ნეტავ
ძველებურად ის მცენარე, თუ გადაურჩა ომს,
თუ არის ისეთივე მშვენიერი, ზღვაში მო-
ნებივრე, თავმომწონე ქალბატონივით?

შენი მდინარე თუ იცვლის ხოლმე ფერს
დროგამოშვებით, შენი ბესლეთი? გაზაფხულის

მასსოვს.
ბოშებმა, ვიცი, დაგვტოვეს, მაგრამ სხვები?..
ძველებურად თუ გამოდიან შენს სანაპიროზე
თევზისა და მხესუმშირის გამყიდველები?

ჰო, გულრიფში, გულრიფში როგორ არის?
მასზე არაფერი მესმის, უკვე არც ახსე-
ნებენ.

ან ზღვა რასა იქმს?
რეკივენ ხარებს უწინდებურად შენი ეკ-
ლესიები?

ნეტავი წერა შეგეძლოს, რამდენ რამეს
მომწერდი ალბათ.

შენი ზღვა მენატრება, მისი ღურჯი სათ-
ნოება, უდაოდისი, ზესამყაროული, ზედ-
როული. არც ის მინახავს ორი წელია, არც
ის და არც სხვა ქალაქების ზღვა. შენი წვი-
მები მენატრება. აქ, თბილისში, იშვიათად
წვიმს, ასე ვთქვათ, მშრალი ქალაქია. მე კი
შენი უგლოვი წვიმები მენატრება, კოკისპი-
რული, ტროპიკული თავსხმები, შენი ღურჯი
და ნაცრისფერი წვიმები, ცასა და მიწას
რომ აერთებენ, ღრუბლებსა და ზღვას რომ
ასისხლხორცებენ. მე შენს წვიმებში ვიზ-
რდებოდი, სხვაგან კი ვსველდებოდი
მხოლოდ.

შენი მთა მენატრება, შენი ფუნთულისო-
რი, მისკენ მიმავალი დაღვარკნილი, ფერად-
ფერადი მცენარეებით დაბურული გზა, ლაღი
გზა, ნატიფი, სუნიქვისა და სისხლის შე-
მამსუბუქებელი. ო, როგორ მომინდება ხოლ-
მე სიმაღლიდან შენი დანახვა.

შენი ჯადოსნური ზაფხული მენატრება.
შენი ყავის გემო მენატრება... მრავალ ენა-
ზე მოსაუბრე ყავახანები.

შენ ჩემი სულის ნაწილი ხარ, ჩემი ერთა-
დერთი ოაზისი, ჩემი სახელმწიფო, პლანე-
ტა, გალაქტიკა.

ხანდახან ისე მომენატრები, რომ აქ მეპ-
კურება კიდეც შენი წვიმის წვეთები, ვხედავ
შენს მოვარეს, ვეფერები შენს მზეს, შენს
ბალახს, შენს ვარსკვლავებს, შენს ფრთამო-
ტეხილ ობოლ თოლიებს...

მაგრამ შენ უხილავ მნათობებზე შორსა
ხარ უკვე, მსოფლიოს ნებისმერი ქალაქი
ბევრად ახლოსაა შენთან შედარებით.

მე მხოლოდ შენში ცხოვრებისას ვამბობდი
სიტყვას „მოვედი“. ორი წელია, წასული
ვარ და ვერ „მოვედი“, ვერც ვერსად „მოვე-
დი“, სულ „სხვაგანა“ ვარ. მე მხოლოდ შენ-
ში ცხოვრებისას ვამბობდი სიტყვას „აქ“,
სულ „იქა“ ვარ ახლა. ორი წელია არა ვარ
„აქ“, მე მხოლოდ „აქ“ ვიყავი შეყვარებული,
სხვაგან ხომ არსად.

ჩემთვის ყველაზე დიდი მუსიკა შენს ბგე-
რებშია განფენილი, შენს სახელში-სოხუმში.
ყველა მთავრობამ მიღალატა და ყველა
პოლიტიკოსმა გამწვინა, ყველა გამვლელმა

მოგნდი, ფეხბურთის გულშემატკივრებთან.
ისინი უკვე ყავას სვამდნენ. მეც დავლიე ერ-
თი ფინჯანი. ჯუგულის ველაპარაკე, კოტეს,
„ტორპედოს“. ვიკამათოე, ვიცინოე, ანეკლო-
ტებიც მოვეყვით. მერე „ამრაზი“ ავედი, ზღვის
რესტორანში. იქ ინსტიტუტის მეგობრები
დამხვდნენ. შამპანური ვსვით. კარგი დღე
იყო, მზიანი, ზღვა არ ღელავდა.

სოხუმში ასე დაბრუნება მხოლოდ იმ ჩემი
ნაცნობის გამოგონება მეგონა, მაგრამ ცოტა
ხანში სხვა სოხუმელიც ვნახე, რომელიც
ზუსტად ისე დაეხეტება ხოლმე სოხუმის
ქუჩებში ძილის წინ.

შემდეგ მესამე შემხვდა, მეოთხე, მეხუთე...
გაგრედიც ვნახე, გაგრამი მოსიერე...

ვერ წარმოვიდგენ, როგორ იზრდები დამ-
ღამობით, ათიათასობით უჩინარი სოხუმელი
ფუსფუსებს შენს ეზო-ყურებში, თავ-თავი-
ანთ სახლებში, ოთახებში, ქუჩებში, კვარ-
ტლებში...

დარწმუნებული ვარ, დაღუპულებიც ასე
ბრუნდებიან შენთან. დაღუპულებიც და ომის
შემდეგ გარდაცვლილებიც. სოხუმში და დაბრუ-
ნება-ეს ორი სიტყვა უნეტარესია მათთვის,
ჯერ-სოხუმში, შემდეგ-დაბრუნება!

ზოგი მატარებლით ბრუნდება შენთან.

ზოგი-თვითმფრინავით.

ზოგიც-გემით.

შენ ყველას სიხარულისგან აცრემლებული
ხვდები, თითოეული ხომ შვილია შენი.
ოღონდ ესაა, შენ მათთვის არც ახლანდე-
ლი ქალაქი ხარ და არც ომისყამინდელი.
1992 წლის 14 აგვისტომდელი სოხუმში ხარ
მხოლოდ.

ისინი ასეთ სოხუმს მიეღებოდა. იმ სოხუმ-
ში სიმშვიდეა, ყველა ერთმანეთს უფრთხილ-
დება. ჰაერი ბოლოდროინთა წმინდაა და ნათელი,
ომის სუნი იქ არ ტრიალებს.

როგორ დავიმალო, უკვე რამდენიმე თვეა,
მეც სხვების დარად გბრუნდები შენთან, და-
ვიდვარ შენს ქუჩებში, ვხვდები მეგობრებს და
ნაცნობებს, ცოცხლებსა და გარდაცვლილებს,
ვისხენებ ამბებს, სხვადასხვა დროის ამბებს,
თან რაღაც-რაღაცეებსაც ვინიშნავ ხოლმე...


და აი, ჩემი ჩანაწერებიც... თუმცა, შენ თა-
ვად წაიკითხავ, ისინი ხომ შენ გეკუთვნის,
და ახლა თუ არა, ერთ დროს ხომ მაინც
ნახავ მათ და იმასაც გაიგებ, თუ როგორ
ვცხოვრობდი უშენოდ.

მეტი რა გითხრა, არც ვიცი, დანარჩენი ამ
ჩანაწერებშია...

შეხვედრამდე!
მომიკითხე ზღვა!

გურამ ოდიშარია,
1995 წლის 4 ივლისი.
ნაწევრები რომანიდან „სოხუმში
დაბრუნება“

გვანისკოვან აფხაზეთი



ერთად გავიზარდეთ, მშენებელ-ინჟინერია, საოცრად განათლებული და ნაკითხი...

ერთხელ, საარჩევნოდ, 90-იან წლებში, როცა „ზვიადიზმი“ და „ბაბუიზმი“ მძვინვარებდა, მახსოვს, ხალხით გადაჭედვით იყო ჩვენი „კლუბი“.

გამოდიოდნენ დეპუტატობის კანდიდატები, როგორც სწვევით, მაღალფარდოვანი სიტყვებითა და დაპირებებით.

ეს ის დრო იყო, როცა ხალხს ჯერ კიდევ რწმენა არ ჰქონდა

აფხაზეთი საქართველოა!

დიდხანს ვფიქრობდი, დამეწერა თუ არა, იქნებ ეწყინოს...არ უყვარს ამ თემზე საუბარი, თავის თავზე კი, საერთოდ... მაგრამ მაინც გადავწყვიტე—დამეწერა... თავს ვალდებულად ვთვლი... ჩვენი თანამედროვეა, ცოცხალი გმირი ჩვენს გვერდით... ჩვენ ხომ გარდაცვლილებზე გვიყვარს წერა და საუბარი... თუმცა, ხშირად მათაც მხოლოდ სუფრაზე ვიხსენებთ ხოლმე...

შერყეული და დაკარგული...

ჰოდა, მალხაზი ყველა გამომხვლელს კრიტიკულ კითხვებს უსვამდა დარბაზიდან... კრების თავმჯდომარე გაღიზიანდა და იყვირა, ვინ ხარ, რომელ პარტიას ეკუთვნის...

დარბაზი გაიტრუნა, მალხაზმა მშვიდად უპასუხა—მე არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნის...

გული ყელში მომეჭინა...



მალხაზ ბალათურია—ბიჭი, რომელიც მკერდით იცავდა აფხაზეთს, ბიჭი, რომელმაც ბოლო წამამდე არ დატოვა სოხუმი, ჩვენ კი დაღუპული გვეგონა და გამოვიგლოვეთ... თურმე, ჭუბურით მოდიოდა და ფეხში დაჭრილი, მოხუცება და პატარებს ეხმარებოდა გადმოსვლაში... არც ერთი სიტყვა არ დასცდენია ამაზე, სრულიად შემთხვევით გავიგეთ წლების შემდეგ...

ჩვენთვის, უბრალოდ, ჩოხია, (ასე ვეძახით) შემდეგ აფხაზეთის ომის კადრებშიც ვნახე... კინოგმირსა ჰგავს მაღალ ფეხებზე შემდგარი, კეთილი დიმილით...

მინდოდა, მეყვირა: ეს ის ბიჭია, რომელიც სამშობლოს მკერდით იცავდა, როცა თქვენ თბილლოვინში გეძინათ-მეთქი, მაგრამ ვერ გავხედე და დღემდე მრცხვენია ამის გახსენების... მაპატიე, რომ დღეს ვამბობ ამას...

ყველაზე თბილ და ყველაზე კარგო ადამიანო... დავილოცავ შენს უღამაზეს ოჯახს (მალხაზი ორი უღამაზესი ქალიშვილის მამა და ოთხი შვილიშვილის ბაბუაა), ყველაფერს საუკეთესოს გისურვებ... მიყვარხარ ძალიან, ძალიან! ჩვენ ხომ „მეები“ ვართ! შენც ხომ ასე გიყვარს თქმა!

მარინა ხუბულავა

P.S. მალხაზ ბალათურია—ჩემი სოფლის (ქვემო ქვალონი) სიამაყე, დედისეულ ფუძეს დაბრუნებული, ნადდი ქართველი, ქართული ტრადიციების დამცველი, საუკეთესო, მისაბამი მეზობელი, მოყვარე, მეგობარი...

მიყვარს ის დღე, როცა მას ვხვდები, ვესაუბრები, სულში სითბო მეღვრება...

მადლობა მარინა ხუბულავას, უმცროს მეგობარს, საუკეთესო მოკალმეს, მალხაზის ასე წარმოჩენისთვის (რაც მე ვერ გავხედე).

დიდი სურვილი მაქვს დიდხანს, ძალიან დიდხანს მყავდეს უბრალოების მაგალითად, დიდი და ღამაზი ოჯახის მეთაურად. მადლობა მალხაზ, იმისთვის, რომ არსებობ... კიდევ ერთხელ გეტყვი—მეამაყები!

მერი ლაგვილავა

თქვენ, წელს გადიხართ ცხოვრების დიდ და რთულ გზაზე, დაამთავრეთ სკოლა და აპირებთ სწავლა გააგრძელოთ უმაღლეს სასწავლებლებში, ახლა 18 წლის ხართ ხდებით და თქვენი და თქვენი თაობის იმედი მაქვს მეც, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის 1972 წლის კურსდამთავრებულს, თქვენი მეგობრის, შოთა წურწუმიას ბაბუას, თქვენი თაობის, თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში დაბადებულებისა და დავაუკაცებულების იმედი აქვს საქართველოს მომავლისთვის მლოცველ მთელს ერს!

ნე, ქეთევანი, ცხრა ძმა ხერხეულიძე, ამბროსი ხელაია, „შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი...“

ამჯერად მინდა მოგითხროთ ჩვენს უძველეს წინაპარზე, რომელმაც ისტორიას შემოუნახა, ამჟამად საყოველთაოდ ცნობილი „პარხალის სახარება“ და „მატბერდის კრებული“!

ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა დამაარსებელმა, ეროვნული საუნჯის უბადლო ქომაგმა და მისაბამი მამულიშვილმა, ექვთიმე თაყაიშვილმა, ხაშურის რაიონის სო-

ბატონიშვილის მზითველიდან მოხვდა ეკლესიაში, ეკლესიიდან კი მღვდლის სახლში...

ჩვენმა დიდმა წინაპარმა, სახელოვანმა და ღრმად განსწავლულმა მეცნიერმა და ალბათ, მაღალმა სასულიერო პირმა, საქართველოს ისტორიაში თავისი ადგილი დაიმკვიდრა, როგორც უცნობილესი ისტორიული დოკუმენტების გადამწერმა და ფაქტიურად გადამჩენელმა. ასე, რომ უპირველესად იოანე ბერაიას დამსახურებაცაა, რომ დღეს ხელთა გვაქვს „პარხალის სახარება“ და „მატბერდის კრებული“, პირ-

„პარხალის სახარებისა“ და „მატბერდის კრებულის“ ისტორია

(ვუპოვნო ჩემს შვილიშვილ შოთას და მის მეგობრებს)

16 წლის ჭაბუკი ავიდა საქართველოს სამეფო ტახტზე, დავით—IV (1073-1125 წწ.) იმეფა 36 წელი, აღესრულა 52 წლის, გავერანებული, გარეშე და შინაური მტრებისგან დასუსტებული და სულთმობრძავე ქვეყანა, იმდროინდელი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნად აქცია...

თქვენ ვერავინ მოგთხოვთ, მეორე დავით აღმაშენებლობას, მაგრამ უნდა გამოადგეთ მამულს, ღრმა და ყოველმხრივი განსწავლულობით და სამშობლოსთვის თავდადებით.

თქვენმა თაობამ უნდა დაარისხოს განგაშის ზარები, კატაკლიზმებით სავსე მსოფლიოს, ამ კრიტიკულ მომენტში...

თქვენს ასპარეზზე გამოსვლას ელოდება მურვან-ყრუების, ჩინგიზ ხანების, ჯალალედინების, თემურ-ლენგების, შაჰ-აბასების, ალა მახმადხანების მრავალგზის შემოსევებს, უფლის ნებითა და ქართველი ხალხის თავდადებით გადარჩენილი, მაგრამ ახლაც გარეშე და შინაური მტრებით გარემორტყმული საქართველოს წარსულიც, აწმყოცა და მომავალიც...

თქვენი თაობა იმედად და პატრონად უნდა მოეკლინოს, მსოფლიო უძველესი ისტორიის ცივილიზაციის ნაწილს, მრავალჭირნახულ დედა-სამშობლოს...

სამშობლოს მსახურება შეიძლება სხვადასხვა გზით, კარგი სწავლულობითაც, კარგი „გუთნისდებობით“, კარგი მხედრობით, ამის უამრავი ისტორიული და თანამედროვე მაგალითი გვაქვს.

სამშობლოსთვის თავდადების გასაოცარი მარგალიტებია მიმობნეული საქართველოს ისტორიაში... გორგასალი, აღმაშენებელი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე, ერეკლე II, აბო, შუშანიკი, ბერი თევდორე, ცოტ-

ველ ზემო ჭალაში, მღვდელ სუხიაშვილის ოჯახში ნახა ხელნაწერი, რომელიც შემდეგ ისტორიაში „პარხალის სახარებითა“ ცნობილი.

ექვთიმე თაყაიშვილმა ნათელყო, რომ აღნიშნული ხელნაწერი გადაწერილია, წარჩინებული კალიგრაფის, იოანე ბერაიას მიერ, მატბერდში 973 წელს და შეწირულია მაშინ ახლადდაარსებული პარხალის მონასტრისთვის, ამიტომ ეწოდა ხელნაწერს—„პარხალის სახარება“!

ექვთიმე თაყაიშვილმა გაარკვია ისიც, რომ უთარილო „მატბერდის კრებული“, უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელსაც ექვთიმე თაყაიშვილამდე IX საუკუნის ძეგლად თვლიდნენ, გადაწერილია X საუკუნეში, ხსენებული კალიგრაფის იოანე ბერაიას მიერ, ამითვე გაირკვა, რომ პირველი ნაწილიც—„მოქცევაი საქართველოსაი“—X საუკუნეს ეკუთვნის!

ზემო ჭალის ეკლესიის ისტორიული ნივთების აღწერისას დადგინდა, რომ ვახტანგ—VI-ის ასულის, ანუკა ბატონიშვილის მზითველი ყოფილა მოთავსებული იოანე ბერაიას მიერ გადაწერილი „პარხალის სახარებაც“, როცა ის ვახუშტი აბაშიძეს მისთხოვდა და რომელიც

ველი გადაწერილი 973 წელს, მეორე კი უთარილო, მაგრამ X საუკუნეში, „პარხალის სახარებამდე“ გადაწერილი იოანე ბერაიას მიერვე!

(ჩვენის აზრით, იოანე უფრო სასულიერო პირის სახელია, ამიტომ ვიფიქრეთ, რომ ის სასულიერო პირია და შეიძლება მაღალი სასულიერო იერარქიულ მატბერდში მოღვაწეც).

ამ წერილის დაწერის საფუძველი მომცა, მათე საუკუნის მოღვაწემ, იოანე ბერაიამ და იმანაც, რომ ჩემი შვილიშვილის, შოთა წურწუმიას მეგობრების, თბილისის 24-ე სკოლის კურსდამთავრებულებთან ერთად, არიან მისი სობელი თანატოლებიც, ღირსეული კოლხები: **ლუკა ირაკლის—მე და ლუკა მათეს ძე ბერაიები.**

დღევანდელ თაობას ვუსურვებ ყოფილიყავით, ჩვენი ღირსეული წინაპრების, ღირსეული და სახელოვანი მემკვიდრენი!

დალოცვილი იყავით, თქვენს გრძელ და რთულ გზაზე! დე, გზას გინათებდეთ იოანე ბერაიას მიერ გადაწერილი და თქვენთვის შენახული, განადგურებას გადარჩენილი „პარხალის სახარების“ მაღლი და „მატბერდის კრებულის“ სიბრძნე!

უფალი გფარავდეთ!

P.S. ამ დღეებში მივიღე სასიხარულო ცნობა, რომ შოთას თითქმის ყველა მეგობარი საქართველოს სხვადასხვა პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტი გახდა, ამაყი ვარ იმიტომაც, რომ ზუსტად 50 წლის შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა ჩემი სისხლი და ხორცი—შოთა წურწუმი. მე და ბებიაბიძეც ხომ 1967-1972 წლებში ვსწავლობდით ამ უპირველესი უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე!

30 სექტემბერს შოთას შეუსრულდა 18 წელი, გილოცავ!

ელიშერ წურწუმი. სობი, 2022 წელი, მარიამობისთვის.

სულთანა



დედანი!

მა მარშანის სსონა

დიღინიდა, ჩვენ ჯი უმალ ვიბინიდა...
ბამ გენასათ, ბმგბრ სჯიდა მცყთან-მართალს, გაიგნმდით-სამართალი სულ იგვიდა,

აბრ აბასდრთს ასდრმდთა თქმაში მთავარს, მის სიყვარულს ყველა გამყულს უბინიდა...
ცას აყყურებ, თვალში მაქვს ცრემლიანი, სიყვარულიდან, ბამ ცხადს სიზმრისგან ვრ ვარჩევდი, ვპ. ჩემს სახლში ყველა აბის სყვიანი,

ყველა ნაცრმის, ყველას უყვარს დედაჩემი!
ბა ცვილია მავშვიდმა, თემც დაბრდც ასლავს, დრთ არ გყყთ, უბთ სიყვარული ვრ ვაყვარდით გადასყდით, სიღინიდან ბა კარგად ჩანს ცივი ქვიდან მმმზირალი დედაჩემი!

და თუ მკითხავთ, ბაცმ მიყვარს ხომ ასე, ალმათ, ღიმილს მავცს ვლარ შყვარჩევდი, მხლდრ უბთი მიგვი მიმცვს განდრით სავსე-ხომის მიწას ამბარია დედაჩემი!!!
მზემო მზანი

აგბრ, უკვი მცხტამეცე დცმმმური გათენდა და გულს ცრემლიანი იყინება, მცხტამეცე მკრდს მყყმყრ ნასბრლ ცყვიას, მცხტამეცე-განთიადის მყრდინა!
წლმს ბას ვარჩი! უუტლმდრ ვაყრბრდმი, სადაც დედის სუნს ვიგბრმდ და მცყინემა მილიდნჯრ გადასხნილი იარბი, მილიდნჯრ ნათყრბი მცგნემა...
მილიდნჯრ ასხნილი მაქვს სიზმარბით-ბა მბიშა სულს გივსმდრს დედის სყვი ვაყრბრდმი, სადაც გულში ჩამიკრავრ და მცყვიანი: „ცმცხალია შენი უკა!“
თქვენ არ იცით! სადცარბი იცლ მართლაც, მის ღიმილში მზის ამლსვლას ვივიწყდით, ბა სმა ჰქმნდა, ბამ უბწყვდა შვილის აკვანს

ია ნანეიშვილი

სამიღე წლის წინათ რედაქციაში მობრძანდა ლამაზი, თვალებრილა ახალგაზრდა და გამეცნო, თავისი ლექსების კრებული დამიტოვა საჩუქრად (დღესაც სათუთად ვინახავ), ორი გოგონა ახლდა. გამაცნო გვანცა და ირინა მიქაუტაძეები, ჩემი ქალიშვილებიაო. დიდხანს ვისაუბრეთ, დღესაც მათობს ის სასიამოვნო საუბარი... უზაროდა, მბიშე სენი დავამარცხეთ, თუმცა საუბრისას მაინც ენამებოდა თვალის უბეები...

ვერავმა დაავადებამ მაინც თავისი გაიტანა, საუბედუროდ, ია ნანეიშვილის სიცოცხლემ სხვა სამყაროში გადაინაცვლა... დასანანი, ძალიან დასანანი არა მარტო თავისი ოჯახისთვის. დავაკვლა ვეღვას, ვისაც გვიყვარდა მისი პოეზია...

დეკემბერში დაბადებულა, გასული წლის დეკემბრის მიწურულს მისი ლამაზი სიცოცხლე 39 წლის ასაკში „გაქრა“.

ცოტა რამ მისი ბიოგრაფიდან:

ია ნანეიშვილი-პოეტი, ჟურნალისტი, მწერალი, საქართველოს შემოქმედებითი კავშირის და საქართველოს ქალთა საბჭოს წევრი. დაიბადა სოფელ საჯიჯაოში ლეილა და თენგი ნანეიშვილების ოჯახში. წარჩინებით დაამთავრა საჯიჯაოს №1 საჯარო სკოლა.

წითელ დიპლომზე საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. პოეზიას სკოლის ადრეული ასაკში ეზიარა.

2017 წლიდან კი მბიშე სენთან, ლეიკემიასთან შებრძოლებამ მოუწია, მიუხედავად ფიზიკური და სულიერი ტკივილებისა, მან შინაგანი სიძლიერე გამოიჩინა და თავად გახდა იმედი ამ სენით დაავადებულთათვის... სწორედ ამ თემას მიუძღვნა სქელტანიანი რომანი „თეთრი ოცდაათი თვე“, სადაც აღწერილია მისი ოთხწლიანი ბრძოლა სიცოცხლის გადარჩენად...

თითქოს დაამარცხაო, ეს ვერავს სენი, მაგრამ 2021 წელს კვლავ განახლდა ტკივილები და...

მან სიცოცხლეშივე მოასწრო ლექსების ოთხი კრებულის და ერთი პროზის გამოცემა. მისი გარდაცვალების შემდეგ კიდევ გამოიცა ლექსების ერთი კრებული და რომანი. ამისთვის მისმა მეგობრებმა და ახლობლებმა იზრუნეს და ის სითბო და სიყვარული, რაც მან მისხალ-მისხალ მიმოფანტა საზოგადოებაში, მისივე ლექსებით დაუბრუნეს...



ამჟამად გამოსაცემად მზადაა ის ბოლო კრებული „ცისფერი ღამის ყვავილი“...

როგორც ხშირად ხდება, ია ნანეიშვილი (მისი უბრალოებიდან გამომდინარე) სხვა მიზეზი ვერ მოუპებნე, თითქოს მოუფერებელი წავიდა ამ ქვეყნიდან... დარჩა, რაც მთავარია, ორი თვალსაზრისით ქალიშვილი, სითბო, ღირსეული, სანაქებო მშობლები და მაღლიერი მკითხველის სიყვარული, რომელიც ხშირად გაგვასხნებს, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოში ლამაზად იცხოვრა ლექსის „ჯადოქარი“ ია ნანეიშვილმა...

მისი ლექსების ეს პატარა წიანთქმაც ამის დასტურია. მერი ლავილია

აბავითაბი „მავტამ“!
აბავითაბი „შემდრ“!
ბიდი მართანდს მართავს,
პირმვინად ბამ შიღვი!
აბავითაბი „ბა ვინა“!
აბავითაბი „ბმგბრ“!
სულაც ნუ ითხვ დავნას და ნებრ გვიტვირნილს დქმს...
აბავითაბი „მბჩა“!
აბავითაბი „ვკვიდმი“!
წამბოდგენლად მლხანს, წყვიც და... ამამი ცდმი!
აბავითაბი „უკან“!
სადლა დავსვდმი წლუმი?!
ვიდრე დცხლმდ და სუნთქავ, სულ გაქვს ასალი გვიბი.
აბავითაბი გმინვა!
აბავითაბი დაბრ!
თუ წაიქვი, ისე-გაიმართო და წადი!

ბამ ბრ გიყვარდეს ადვილია, სიყვარულია ბნელი!
ვინმე დავატგლ ადვილია, შინარჩუნება ბნელი!
ბრ გენაცრმდრს ადვილია, მნანტრბა ბნელი!
ფიგის დადრმა ადვილია, შესტლუმა ბნელი!
სახლის დანტრვა ადვილია, აშინება ბნელი!
ფჯასის შიქმნა ადვილია, გაფრთხილბა ბნელი!
ბამ უბრთგულ ადვილია, ბრ დავასხმა ბნელი!
ბამ ბრ ულდლ ადვილია, მლდრინია ბნელი!
სადმი გაიქვი ადვილია, დაბრნა ბრის ბნელი!
გულის გაცხება ადვილია, გამთლუმა ბნელი!
შვილის გაჩრნა ადვილია, დედმა ბრის ბნელი!
კაცად ყლფნა თუ ადვილია, ვაქვანბმა ბნელი!

სიყვარულს აბა აქვს ასაკი, სიყვარულს აბა აქვს ბრთ. თუ გიყვარს სამყართ სხვა ბრის,- ზავხულშიც ფანცლი თფს... თუ გიყვარს ზამთარშიც ყვავიან,- იბი, ბრ ითვლი წამს. მსუბიქად ღრბლუბი დადისაბ და მკრდით აცარბ ზღვას. გრმბმვი გრბვა და მღრბ: სიცმცსლუ სიყვარულს გავს... სან და სან იმღრნად ბთულდრბ,- ცხვტრბა სიყვარულს კლავს. სიყვარულს აბა აქვს მანბილი, სიყვარულს აბა აქვს ბრთ... თუ სადლაც სხმვნათა ბრბილი, კვლავ მასთან დაბრჩნას გთხვს. სიყვარულს ფრბი აქვს ფასკენჯის, ლურჯ ზვის მცყვრბი წყვს. სიყვარულს ვრბაფრს დაუბილი, თუ გიყვარს, გიყვარს და გრვს... სიყვარულს აბა აქვს ასაკი, სიყვარულს აბა აქვს ბრთ. თუ გიყვარს სამყართ სხვა ბრის,- ზავხულშიც ფანცლი თფს.
ია ნანეიშვილი

გოგა ლატარია



ზობლებს-გვეროდეს გაუნელებელია ის ტკივილი... დღემდე დედის ცრემლი არ გამშრალა, მაგრამ მინავლებულმა დარდა უშენოდ ცხოვრება ასწავლა...

შენ, მომავალი ექიმი, (სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი), სხვათა სიცოცხლისთვის მებრძოლი, განსწავლული, უკვე ჭადარაშერეული, ჩემი შვილების უმცროსი მეგობარი-ასეთი წარმომდგენიხარ, გოგა!

არადა როგორი სითბოთი იხსენებენ, ხობელი ექიმები შენი პრაქტიკაზე ყოფნის პერიოდს. ისინი ხომ თბილ, გულისხმიერ ნამდვილ პროფესიონალ ექიმად მოგიაზრებდნენ. ამიტომაც მათი ალალი ცრემლებიც გაიყოლე შენი სიყვარულის საზღაურად...

...დღესაც ისევე მიყვარხარ, როგორც მაშინ... გეფერები და გესიყვარულები... ნათელში იყოს შენი სპეტაკი, უბოროტო სული.
მზია ხანია.

გოგა, ჩვენი კუთხის გაუნელებელი ტკივილი, ლამაზო და ჭკვიანო ბიჭო!
20 წელი გავიდა იმ ავბედითი დღიდან, როცა შენი ლამაზი სიცოცხლე ავტოავარიამ შეიწირა... ჩვენს უბანში მწუხარებამ დაისადგურა... დღესაც ყურში ჩამესმის დედაშენის სათნო და კეთილშობილი ქალბატონის ნარგისას განწირული ხმა... წუთისოფლის დაუწერელმა კანონმა მკაცრი გამოცდა მოუწყო შენს ოჯახს, ახლობლებს, მე-

სობის მუნიციპალიტეტის საკრებულო მწუხარებას გამოთქვამს სერგო ბერაიას მამის ზაალი ბერაიას გარდაცვალების გამო და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს.

ბენერენ!

ექიმები სიბოხლის სადარაჯოზე

მინდა გადმოგცეთ, თუ როგორ ემადლიერება საქართველოში მცხოვრები მოსახლეობა ექიმებს. დიახ, ექიმებს, რომლებმაც დღე და ღამე გაასწორეს კოვიდთან შერკინების „ბრძოლის ველზე“ თუმცა ზოგიერთის სიცოცხლეც კი შეეწირა. ჩვენ არაფერი დაგვიწყებია და არც დაგვაკვიწყდება ეს სასტიკი ვითარება. ამ ბრძოლაში დიდი პასუხისმგებლობით იბრძოდნენ ხობელი ექიმები. ჩემი დიდი მადლიერება და მადლობა მათ.

ახლა კი ძვირფასო მკითხველო, თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო „ლევან ქავთარაძის კლინიკაზე“.

სანაქებო კლინიკაში არსებული გამართული სამედიცინო დიაგნოსტიკური გამოკვლევები. განსაკუთრებით აღსანიშნავია პენსიონერებზე მორგებული შეღავათები. ყოველივე ამისთვის კლინიკის დირექტორს ბატონ ლევან ქავთარაძეს ჩემი დიდი მადლობა.

რამდენიმე ექიმზე მინდა გესაუბროთ, რომლებთანაც უშუალო შეხება მაქვს.

მადლობას ვუხდის ამ კლინიკის რადიოლოგ ქალბატონ ნათია სალაყაიას, მისი სახით ერთ-ერთი უნიჭიერესი რადიოლოგი ჰყავს ხობის მუნიციპალიტეტს.

მან პირველ გასინჯვაზე „აღმოაჩინა“ ჩემში სიმსივნის კერა, რომელიც საწყის საფეხურზე იყო, დამაჯერებლად ჩამოაყალიბა ზემოთ ხსენებული სიმსივნის ფორმულირება, მე კი სათანადოდ დამაკავალიანა, სად, ვისთვის მიმემართა. ყოველივე ამისთვის დიდი მადლობა ნათია სალაყაიას.

უშუალოდ ჩემის მკურნალი ექიმ გახლავთ თერაპევტი-ოჯახის ექიმი დომნიკა (დონა) წულუისკირი. ის, რამდენიმე წელია ჩემი მკურნალი ექიმია,

უნიკალურად ნიჭიერი და თბილი, ექიმის პროფესიას მაღალი დონეზე ფლობს. მისი კონსულტაცია საინტერესო და სანდოა. პაციენტები ღებულობენ სრულ კომპლექსურ დაკვირვებას და სწორ მიმართულებას ანალიზების პასუხების თუ საჭიროების შემთხვევაში ექოსკოპიის დანართით ჩამოაყალიბებს ორგანიზმში მიმდინარე პროცესის დიაგნოზს. იგი უკეთილშობილესი ადამიანია. სამი შვილის დედა, კარგი მეუღლე და ნადარაიების ლამაზი ოჯახის დიდი დიასახლისია. დღევრძელი იყავით, ასე მხნედ ყოფილიყავით ადამიანთა სიცოცხლის სადარაჯოზე. დიდი მადლობა დონა ექიმო ყველაფრისთვის.

ჩემგან მადლობის ღირსია ზემოთ ხსენებული კლინიკის ექიმი კარდიოლოგი ქალბატონი ხათუნა ლომიძე. დიდად გულისხმიერი, მასთან კონსულტაციებით დიდად კმაყოფილი ვარ.

მადლიერებით მინდა აღვნიშნო კლინიკაში არსებული ლაბორატორიის მომსახურება. ვაფასებ ლაბორატორიის ხელმძღვანელის ქალბატონ ადა თათარიშვილის ყურადღებისმომცველ მიღებას და მის გუნდისმიერ სწორ ბიოქიმიური ანალიზების პასუხებს. რასაც პაციენტების ჯანმრთელობისთვის დიდი მინიშნელობა აქვს.

ძვირფასო ექიმებო, უდაოდ გამორჩეულად ნიჭიერო საზოგადოებავე, უნიკალურო ადამიანებო. ჩვენ პაციენტების თქვენი იმედი გვაქვს.

იღვებრძელეთ, სულ ბედნიერები იყავით-თქვენი სიცოცხლე მრავალჟამიერ!

ლარეჯან ცხადია, პირველი მაისის მცხოვრები.

ამასწინათ ქ. ხობში, ქუჩაში ცუდად გავხდი. გამველემა, სრულიად უცნობმა მოქალაქემ შემნიშნა, ყურადღება მომაქცია და იქვე მდებარე კლინიკა „პულსზე“ მიმითითა, მიბრძანდით, უყურადღებოდ არ დაგტოვებენო.

მართლაც, როგორც კი შენობაში შევედი, ერთ-ერთმა მედპერსონალმა მთვარი-სა ხაუომიამ წნევა გამიზომა, ექიმ კარდიოლოგ ირინა ბერაიასთან შემეყვანა, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა... გამსინჯა, გადასხმა დამიყენა და გარკვეული დროის გასვლის შემდეგ შინ გამომაცილა.

მინდა უდიდესი მადლობა გამოვხატო კლინიკა „პულსის“ თანამშრომლების მიმართ (მათი სახელ-გვარები ჩემთვის უცნობია) გამოჩენილი ყურადღების და მაღალი პროფესიონალიზმისთვის. მიხარია, რომ ამ პატარა ქალაქში ასეთი იმედისმომცემი კლინიკა არსებობს და პენსიონერ ადამიანებს ასე თბილად ემსახურებიან.

მადლობა მთელ სამედიცინო პერსონალს სხვათა სიცოცხლისთვის ზრუნვის გამო. თქვენ იმ დღეს მაჩვენეთ მაგალითი, როგორი უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულება, სადაც გულისყურით ემსახურებიან პაციენტებს.

გულნარა შუშანი-ბერაია, ქ. ხობში მცხოვრები.

ამონარიდი საგამოფენო ავზიშიდან

ქართული სკულპტორის ჯადოსნური სამყარო



პარმონიულად ერწყმინ არასულიერ სკულპტურას და აყალიბებენ ავტორის ხელწერის ავთენტურობას.

საფრანგეთის ქალაქ ბორდოს სამხატვრო გალერეაში ქართველი მოქანდაკის მერაბ კანკაძის გამოფენა გაიხსნა.

ხეში შესრულებული საოცრად დახვეწილი და ორიგინალური ნამუშევრები მნახველზე დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს.

ვათვალეობს ფოტოებს ამ გამოფენიდან და მახსენდება მერაბის მამის მიერ წლების მანძილზე ხის ფესვებში, ტოტებსა თუ ფოტოებში დანახული ჯადოსნური სამყარო.

მერაბ კანკაძე მურთაზ კან-

მერაბ კანკაძე

ქართველი სკულპტორი და მხატვარია. მამის, მურთაზ კანკაძის ნამუშევრებმა, რომელიც აგროვებს და გარდაქმნის ხისა და მცენარეების ტოტებსა და ფესვებს აბსტრაქტულ სკულპტურებად, მასზე დიდი გავლენა იქონია. მან ბავშვობიდან გამოიჩინა ინტერესი ხელოვნების მიმართ, წყალტუბოს სამხატვრო სკოლის წარმატებით დასრულების შემდეგ მისი სახვითი ხელოვნებისადმი ინტერესი მხატვრობაში, მოგვიანებით კი ხის ქანდაკებაში გამოიხატა. მერაბ კანკაძე ქმნის ხის სკულპტურებს წაბლის, მუხის, ნაძვისა და სხვა მატერიისგან, მისი ნამუშევრების დიდი ნაწილი სურეალისტური და თანამედროვე ჟანრისაა. ხელოვნის ქმნილებები გაჯერებულია ქართული ტრადიციული ელემენტებით და დასავლეთ ევროპული მითოლოგიური პერსონაჟებით. მის ნამუშევრებში აისახება ადამიანური ემოციები, რომლებიც



კაძის შვილია, მაგრამ, მგონი უკვე დროა ითქვას, მურთაზ კანკაძე მერაბ კანკაძის მამაა.

წაბლის ხისგან შექმნილ ამ ქანდაკებისთვის „მოხეტიალე ქალაქი“ დაურქმევია ავტორს.

რალა უნდა ვთქვა მეტი!

ირმა მარღალიევილი

P.S. „ხობის მოამბელები“ ვულოცავთ ჩვენს კოლეგას ბატონ მურთაზ კანკაძეს შვილის-სკულპტორისა და მხატვარის მერაბ კანკაძის წარმატებით და სასიამოვნო შთაბეჭდილებებით სავსე გამოფენის გახსნას საფრანგეთის ქალაქ ბორდოში.

მომავალში ახალ-ახალ გამოფენებს, ქართული სკულპტურის წარმოჩენით გამოწვეულ უამრავ სიხარულს ვუსურვებთ სახელოვან მამა-შვილს.

ხობის მუნიციპალიტეტის გეგმვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლავილია, ნანი კილახონია, კობა კობახიძე, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრში.

ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
 ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
 დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
 გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.